


**თავი 2. მუდმივი ღენის ოთარი ტრედების გაანგარიშების  
მეთოდები  
მაგალითი 2.1.**

კირხპოფის კანონების გამოყენებით ნახ.2.1-ზე მოყვანილ სქემისათვის იპოვეთ დენგბი და შეამოწმეთ სიმძლავრეების ბალანსი, თუ ძაბვის განერაციონურების ემდ  $E_1 = 15\text{V}$ ,  $E_2 = 70\text{V}$ ,  $E_3 = 5\text{V}$ , შიდა წინადობებია  $r_{10} = r_{20} = 1\text{m}\Omega$ ,  $r_{30} = 2\text{m}\Omega$ , წრედში ელემენტების წინადობებია  $r_1 = 5\text{m}\Omega$ ,  $r_2 = 4\text{m}\Omega$ ,  $r_3 = 8\text{m}\Omega$ ,  $r_4 = 2,5\text{m}\Omega$ ,  $r_5 = 15\text{m}\Omega$ .

**ამონსნა**

მოყვანილ სქემაში ხუთი შტო ( $N_g = 5$ :  $bfa, adc, ba, dc, ca$ ), კვანძების რიცხვი შეადგენს  $N_d = 3$  ( $a, b, c$ ), ღენის განერაციონურები



ნახ.2.1

არ არის ( $N_g = 0$ ). უცნობი დენგების რიცხვი შეადგენს  $N_g - N_d = 5$ . დამოუკიდებელი განტოლებების რიცხვი შედგენილი კირხპოფის პირველი კანონის მიხედვით ყდრის კვანძების რიცხვს მინუს ერთი, ანუ ორს ( $N_d - 1 = 3 - 1 = 2$ ).

დამოუკიდებელი განტოლებების რიცხვი შედგენილი კირხპოფის მიხედვით

უდრის  $K = N_g - (N_d - 1) - N_g = 5 - 2 - 0 = 3$ . მაშასადამე, განტოლებათა საერთო რიცხვი შედგენილი კირხპოფის პირველი და მეორე კანონების მიხედვით უდრის სქემის ხუთ შტოში უცნობი დენგების რიცხვს.

ამოვირჩიოთ დენგების დადებითი მიმართულებები და ავღნიშნოთ ისრებით. ამოვირჩიოთ და ისრებით ავღნიშნოთ დამოუკიდებელი კონტურების შემოვლის მიმართულებები: I, II და III.

შევადგინოთ კირხპოფის განტოლებათა სისტემა:

$$a \text{ კვანძისათვის } I_1 - I_2 + I_3 + I_5 = 0; \quad (1)$$

$$b \text{ კვანძისათვის } -I_1 - I_3 - I_4 = 0; \quad (2)$$

$$\text{I კონტურისათვის } E_1 + E_2 = (r_1 + r_{10})I_1 - (r_3 + r_{30})I_3; \quad (3)$$

$$\text{II კონტურისათვის } E_3 = -(r_3 + r_{30})I_3 + r_4I_4 + r_5I_5; \quad (4)$$

$$\text{III კონტურისათვის } E_2 = (r_2 + r_{20})I_2 + r_5I_5. \quad (5)$$

მიღებულ განტოლებებში (1) და (5) რიცხვითი მნიშვნელობების შეტანის შემდეგ მივიღებთ

$$I_1 - I_2 + I_3 + I_5 = 0; \quad -I_1 - I_3 - I_4 = 0;$$

$$6I_1 - 10I_3 = 20; \quad -10I_3 + 2,5I_4 + 15I_5 = 5; \quad 5I_2 + 15I_5 = 70.$$

მიღებული განტოლებათა სისტემის ამონენის შემდეგ მივიღებათ

$$I_1 = 5\text{A}; \quad I_2 = 8\text{A}; \quad I_3 = 1\text{A}; \quad I_4 = -6\text{A}; \quad I_5 = 2\text{A}.$$

$I_4$  დენის უარყოფითი მნიშვნელობა ნიშნავს, რომ  $r_4$  წინა-დობაში დენის ჰერმარიტი მიმართულება მიღებული მიმართულების საპირისპიროა.

სიმძლავრეების ბალანსის შეამოწმებისას მხედველობაში უნდა კლონდეს, რომ წრედის ტოტებში თუ ემბ-ს და დენის მიმართულებები თანხვდენილია, მაშინ ემბ არის ენერგიის წყარო, ხოლო თუ საპირისპიროდ არის მიმართული – მაშინ ემბ მოიხმარს ენერგიას.

კველა როგორც გარე, ასევე წყაროს შიდა წინადობები მათში დენების მიმართულებების დამოუკიდებლად მხოლოდ მოიხმარს ენერგიას.

განხილული სქემისათვის სიმძლავრეების ბალანსი დაიწერება შემდეგი სახით (ამ განტოლებაში მე-3 შესაკრეფის წინ მინუს (-) ნიშანი განპირობებულია იმით, რომ  $E_3$  და  $I_3$  საპირისპიროთ არიან მიმართული (იხ. ნახ. 2.1))


$$E_1I_1 + E_2I_2 - E_3I_3 = I_1^2(r_1 + r_{10}) + I_2^2(r_2 + r_{20}) + I_3^2(r_3 + r_{30}) + I_4^2r_4 + I_5^2r_5,$$

$$\text{ანუ } 15 \cdot 5 + 70 \cdot 8 - 5 \cdot 1 = 5^2 \cdot 6 + 8^2 \cdot 5 + 1^2 \cdot 10 + 4^2 \cdot 2,5 + 2^2 \cdot 15,$$

მიღებულია იგივეობა  $630 = 630$ .

### მაგალითი 2.2.

(კონტურული დენების მეთოდი)



6a.b.2.2

კონტურული დენების მეთოდის გამოყენებით იპოვეთ წრედის დენები სქემაში, რომელიც მოვანილია ნახ.2.2-ზე. მოცემულია:  $E_1 = 100\text{V}$ ,  $E_2 = 30\text{V}$ ,  $E_3 = 10\text{V}$ ,  $E_4 = 6\text{V}$ ; შიდა წინადობა,  $r_{40} = 1\text{m}\Omega$ ; წრედში ელემენტების წინადობებია  $r_1 = 10\text{m}\Omega$ ,  $r_2 = 10\text{m}\Omega$ ,  $r_4 = 6\text{m}\Omega$ ,  $r_5 = 5\text{m}\Omega$ ,  $r_6 = 15\text{m}\Omega$ .

**ამონება**

აგირჩიოთ კონტურული დენების  $I_1, I_{\text{II}}, I_{\text{III}}$  მიმართულებები.

შევადგინოთ განტოლებათა სისტემა კონტურებისათვის:

$$E_1 - E_2 - E_3 = (r_1 + r_2)I_1 - r_2 I_{\text{III}};$$

$$E_2 - E_4 = (r_2 + r_5 + r_{40} + r_4)I_{\text{II}} + (r_{40} + r_4)I_{\text{III}} - r_2 I_1;$$

$$-E_3 - E_4 = (r_6 + r_{40} + r_4)I_{\text{III}} + (r_{40} + r_4)I_{\text{II}}.$$

რიცხვითი მნიშვნელობების ჩართვის შემდეგ მივიღებთ

$$60 = 20I_1 - 10I_{\text{III}};$$

$$24 = -10I_1 + 22I_{\text{II}} + 7I_{\text{III}};$$

$$-10 = 7I_{\text{II}} + 22I_{\text{III}}.$$

სისტემის ამონების შემდეგ მივიღებთ

$$I_1 = 5\text{ა}; \quad I_{\text{II}} = 4\text{ა}; \quad I_{\text{III}} = -2\text{ა}.$$

მიღებული კონტურული დენების მნიშვნელობები გვაძლევს საშვალებას ვიპოვოთ შტოებში ნამდვილი დენების მნიშვნელობები.

შტოში, რომელშიც მოქმედებს  $E_1$  ემდ  $I_1$  დენს აქვს  $I_1$  კონტურული დენის მიმართულება და უდრის  $I_1 = I_1 = 5\text{ა}$ .

შტოში  $r_5$  წინაღობით  $I_3$  ნამდვილ დენს  $I_{\text{II}}$  კონტურული დენის მიმართულება აქვს და უდრის  $I_5 = I_{\text{II}} = 4\text{ა}$ .

შტოში  $r_6$  წინაღობით  $I_6$  ნამდვილ დენი  $I_{\text{III}}$  კონტურული დენის საპირისპირო მიმართულებისაა არის და უდრის

$$I_6 = -I_{\text{III}} = 2\text{ა}.$$

შტოში  $r_2$  წინაღობით  $I_2$  ნამდვილ დენი მიიღება  $I_1$  და  $I_{\text{II}}$  კონტურული დენების ზედდებით და უდიდესი კონტურული დენის  $I_1$  მიმართულება ექნება:  $I_2 = I_1 - I_{\text{II}} = 1\text{ა}$ .

შტოში  $r_4$  წინაღობით  $I_4$  ნამდვილ დენი მიიღება  $I_{\text{II}}$  და  $I_{\text{III}}$  კონტურული დენების ზედდებით და უდიდესი კონტურული დენის  $I_{\text{II}}$  მიმართულება ექნება:  $I_4 = I_{\text{II}} + I_{\text{III}} = 4 + (-2) = 2\text{ა}$ .

შტოში, რომელშიც მოქმედებს  $E_3$  ემდ  $I_3$  ნამდვილ დენი მიიღება  $I_1$  და  $I_{\text{III}}$  კონტურული დენების ზედდებით და კონტურული დენის  $I_1$  მიმართულება ექნება:  $I_3 = I_1 + I_{\text{III}} = 5 + (-2) = 3\text{ა}$ .


### მაგალითი 2.3.

(კვანძური პოტენციალების მეთოდი)

კვანძური პოტენციალების მეთოდის გამოყენებით ნახ.2.3-ზე მოყვანილ სქემისათვის იპოვეთ ყველა დენები. მოცემულია:

$E_1 = 30\text{V}$ ,  $E_2 = 10\text{V}$ ,  $E_3 = 200\text{V}$ ,  $E_4 = 56\text{V}$ , წრედში ელემენტების წინადობებია  $r_1 = 20\Omega$ ,  $r_2 = 30\Omega$ ,  $r_3 = 6\Omega$ ,  $r_4 = 8\Omega$ ,  $r_5 = 15\Omega$ ,  $r_6 = 40\Omega$  და  $r_7 = 10\Omega$ .

#### ამონა



წერტილი 3 პოტენციალი მივიღოთ  $\varphi_3 = 0$ . ომის განზოგადოებულ კანონის თანახმად ოჟ (acb) შტო შეიცავს ემდ და წინადობებს მაშინ დენი შტო ში გამოითვლება

$$I = \frac{\varphi_a - \varphi_b + \Sigma E}{\Sigma r_{ab}} = \frac{U_{ab} + \Sigma E}{\Sigma r_{ab}},$$

ხოლო კვანძში შემავალი და გამომვალი დენების ჯამი უდრის 0. კვანძური პოტენციალების მეთოდის გამოყენებით შევადგინოთ განტოლებები:

$$\frac{\varphi_1 - \varphi_2 - E_1}{r_1 + r_7} + \frac{\varphi_1 - \varphi_2}{r_5} + \frac{\varphi_1 - \varphi_3 + E_4}{r_4} + \frac{\varphi_1 - \varphi_3}{r_6} = 0$$

ანალოგურად კვანძი 2-ის

$$\frac{\varphi_2 - \varphi_1 + E_1}{r_1 + r_7} + \frac{\varphi_2 - \varphi_1}{r_5} + \frac{\varphi_2 - \varphi_3 - E_2}{r_2} + \frac{\varphi_2 - \varphi_3 + E_3}{r_3} = 0.$$

განტოლებებში რიცხობრივი მნიშვნელობების ჩასვის, გამარტივების და დალაგების შემდეგ მივიღებთ

$$0,25\varphi_1 - 0,1\varphi_2 = 30\frac{1}{30} - 56\frac{1}{8} \equiv -6;$$

$$-0,1\varphi_1 + 0,3\varphi_2 = 30\frac{1}{30} + 10\frac{1}{30} - 200\frac{1}{6} \equiv -34.$$

ბოლო ორი განტოლებების ამონანის შემდეგ 1 და 2 კვანძების პოტენციალები ტოლია:

$$\varphi_1 = -80\text{V}; \quad \varphi_2 = -140\text{V}, \quad \varphi_3 = 0\text{V}.$$

და ბოლოს, ვიყენებთ ომის კანონს ცალკეულ ტოტისათვის:

$$I_1 = \frac{\varphi_1 - \varphi_2 - E_1}{r_1 + r_7} = \frac{-80 + 140 - 30}{30} = 1 \text{ A};$$

$$I_2 = \frac{\varphi_3 - \varphi_2 + E_2}{r_2} = \frac{140 + 10}{30} = 5 \text{ A};$$

$$I_3 = \frac{\varphi_2 - \varphi_3 + E_3}{r_1 + r_3} = \frac{-140 + 200}{6} = 10 \text{ A};$$


$$I_4 = \frac{\varphi_3 - \varphi_1 - E_4}{r_4} = \frac{80 - 56}{8} = 3 \text{ A};$$

$$I_5 = \frac{\varphi_1 - \varphi_2}{r_5} = \frac{-80 + 140}{15} = 4 \text{ A};$$

$$I_6 = \frac{\varphi_3 - \varphi_1}{r_6} = \frac{80}{40} = 2 \text{ A}.$$

#### მაგალითი 2.4.

(ზედდების მეთოდი)




ნახ.2.4.1

ზედდების მეთოდის გამოყენებით ნახ.2.4.1-ზე მოყვანილ სქემისათვის იპოვეთ ყველა დენტი. მოცემულია:  $E_1 = 10 \text{ V}$ ,  $E_2 = 40 \text{ V}$ ,  $E_3 = 5 \text{ V}$ ; შიდა წინაღობებია  $r_{20} = r_{30} = 2 \Omega$ ,  $r_{10} = 5 \Omega$ ; წრედაში ელემენტების წინაღობებია  $r_1 = 30 \Omega$ ,  $r_2 = 3 \Omega$ ,  $r_3 = 8 \Omega$ .

#### ამონები

საწყის სქემაზე ნახ.2.4.1 ავნიშნოთ დენტების დადებითი მიმართულებები. დაუშვად, რომ მოქმედებს მხოლოდ  $E_1$  ემპ, ხოლო  $E_2$  და  $E_3$  ემბ-ბი არ მოქმედებენ ნახ.2.4.2-ის:



ნახ.2.4.2

$$\text{მაშინ } I'_1 = \frac{E_1}{r_{10}},$$

$$\text{სადაც } r_{10} = r_1 + r_{10} + \frac{(r_2 + r_{20})(r_3 + r_{30})}{r_2 + r_{20} + r_3 + r_{30}} = 35 + \frac{5 \cdot 10}{15} = \frac{115}{3} \text{ მმ;}$$

$$\text{დენი } I'_1 = 10 : \frac{115}{3} = \frac{6}{23} \text{ ს.}$$

პარალელურ შტოებში დენები განისაზღვრება ცნობილი გამოსახულებებით

$$I'_2 = I'_1 \frac{r_3 + r_{30}}{r_2 + r_{20} + r_3 + r_{30}} = \frac{6}{23} \cdot \frac{10}{15} = \frac{4}{23} \text{ ს;}$$

$$I'_3 = I'_1 \frac{r_2 + r_{20}}{r_2 + r_{20} + r_3 + r_{30}} = \frac{6}{23} \cdot \frac{5}{15} = \frac{2}{23} \text{ ს.}$$

ჩავატაროთ გამოთვლა იმ ვარაუდით, რომ მოქმედებს მხოლოდ  $E_2$  ემდე, ხოლო  $E_1$  და  $E_3$  ემზადი არ მოქმედებენ ნახ.2.4.2,ბ:

$$\text{მაშინ } I''_2 = \frac{E_2}{r_{20}},$$

$$\text{სადაც } r_{20} = r_2 + r_{20} + \frac{(r_1 + r_{10})(r_3 + r_{30})}{r_1 + r_{10} + r_3 + r_{30}} = \frac{115}{9} \text{ მმ;}$$

$$\text{დენი } I''_2 = 40 : \frac{115}{9} = \frac{72}{23} \text{ ს.}$$

პარალელურ შტოებში დენები განისაზღვრება ცნობილი გამოსახულებებით

$$I''_1 = I''_2 \frac{r_3 + r_{30}}{r_1 + r_{10} + r_3 + r_{30}} = \frac{72}{23} \cdot \frac{10}{45} = \frac{16}{23} \text{ ს;}$$

$$I''_3 = I''_2 - I''_1 = \frac{72}{23} - \frac{16}{23} = \frac{56}{23} \text{ ს.}$$

ანალოგიურად ჩავატაროთ გამოთვლა იმ ვარაუდით, რომ მოქმედებს მხოლოდ  $E_3$  ემდე, ხოლო  $E_1$  და  $E_2$  ემზადი არ მოქმედებენ ნახ.2.4.2,გ:

$$r_{30} = r_3 + r_{30} + \frac{(r_1 + r_{10})(r_2 + r_{20})}{r_1 + r_{10} + r_2 + r_{20}} = \frac{115}{8} \text{ მმ;}$$

$$I''_3 = \frac{E_3}{r_{30}} = 5 : \frac{115}{8} = \frac{8}{23} \text{ ს;}$$

$$I_1''' = \frac{1}{23} \text{ ა.}, \quad I_2''' = \frac{7}{23} \text{ ა.}$$

თითოეულ შტოში ნამდვილი დენების მნიშვნელობები მიიღონ და როგორც დენების ალგებრული ჯამი განსაზღვრული დამოუკიდებლად თითოეული ემპის მოქმედების დროს.

$$\text{დენი პირველ შტოში} \quad I_1 = I_1' + I_1'' + I_1''' = \frac{6}{23} + \frac{16}{23} + \frac{1}{23} = 1 \text{ ა.}$$

$$\text{დენი მეორე შტოში} \quad I_2 = I_2' + I_2'' + I_2''' = \frac{4}{23} + \frac{72}{23} - \frac{7}{23} = 3 \text{ ა.}$$

$$\text{დენი მესამე შტოში} \quad I_3 = I_3' + I_3'' + I_3''' = -\frac{2}{23} + \frac{56}{23} - \frac{8}{23} = 2 \text{ ა.}$$


### მაგალითი 2.5.

(უქმი სვლის და მოკლე ჩართვის მეთოდი)

ნახ.2.5.1-ზე მოყვანილ სქემისათვის ეკვივალენტური გენერატორის მეთოდით დენი  $r_1$  წინადობაში თუ მოცემულია:  
 $E_1 = 18 \text{ ვ}$ ,  $E_2 = 21 \text{ ვ}$ , შიდა წინადობებია:  $r_{10} = 1 \text{ მ}$ ,  $r_{20} = 2 \text{ მ}$ ; წრედში ელემენტების წინადობებია  $r_1 = 2 \text{ მ}$ ,  $r_2 = 7 \text{ მ}$ ,  $r_3 = 6 \text{ მ}$ .

გენერატორი

ჩანაცვლების სტანდარტი




ნახ.2.5.1  
ამონება

საწყის სქემაზე ავღნიშნოთ  $I_1$  საძიებელი დენის დადებითი მიმართულება. განვიხილოთ სქემის ნაწილი შემოვლებული პუნქტირის ხაზით (ნახ.2.5.1). ეს ნაწილი ჩავანაცლოთ ეკვივალენტური გენერატორის გენერატორის ემპ  $E_\delta$  და  $r_\delta$  ხაზით. ეკვივალენტური გენერატორის შემცველი კლებტრული სქემა მოყვანილია ნახ.2.5.1.ბ-ზე.

სქემაზე ნებისმიერად არჩეულია გევიგალენტური გენერატორის  $E_\delta$  ემპის მიმართულება  $p$  წერტილისაკენ. ეს გვაძლევს საშვალებას გამორთული დატვირთვის შეტოს შემთხვევისთვის (იხ. ნახ.2.5.2ა) გევიგალენტური გენერატორის უქმი სვლის რეჟიმისათვის დაიწერება განტოლება:

$$E_\delta = U_{pq\text{.ქ.}} = (\varphi_p - \varphi_q)_{\text{ქ.}}$$

გევიგალენტური გენერატორის გაშლილი სქემა უქმი სვლის რეჟიმის დროს მოყვანილია (იხ. ნახ.2.5.2ბ).



უქმი სვლის დენი  $I_{\text{ქ.}} \cdot \text{გენერატორის } \dot{\theta}$  შიდა წევებისათვის

$$I_{\text{ქ.}} = \frac{E_2}{r_2 + r_{20} + r_3} = \frac{21}{15} = 1,4 \text{ A}.$$

უქმი სვლის ძაბვას განსაზღვრავს გენერატორის ემპი:

$$U_{pq\text{.ქ.}} = r_3 \cdot I_{\text{ქ.}} = 6 \cdot 1,4 = 8,4 \text{ V} = E_\delta.$$

გიპოვოთ გევიგალენტური გენერატორის  $r_\delta$  წინადობა. მისი გამოანგარიშებისათვის ძაბვის წყარო  $E_2$  ჩავანაცვლოთ მოკლე ჩართული მონაკვეთით, როგორც ნახვენებია ნახ.2.5.2.გ-ზე. მიღებული სქემის შემავალი წინადობა იქნება გევიგალენტური გენერატორის  $r_\delta$  წინადობა:

$$r_\delta = \frac{(r_2 + r_{20})r_3}{r_2 + r_{20} + r_3} = \frac{9 \cdot 6}{15} = 3,6 \Omega.$$

საძიებელ დენის კპოულობთ 2.5.1.ბ სქემის გამოყენებით

$$I_1 = \frac{E_\delta + E_1}{r_\delta + r_{10} + r_1} = \frac{8,4 + 18}{3,6 + 1 + 2} = 4 \text{ A}.$$